„ვამტკიცებ"

საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია

_____

22 სექტემბერი 2025 წ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს მეოთხე სარეიტინგო ტურნირი გოგონებში

თბილისი

2025
19 ოქტომბერი

I. შეჯიბრების მიზანი და ამოცანები

- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;
- ძიუდოს მასობრიობა და პოპულარიზაცია გოგონებში;
- საშეჯიბრო გამოცდილების ამაღლება.

II. შეჯიბრების ხელმძღვანელობა

- შეჯიბრების ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული საორგანიზაციო კომიტეტი.

III. შეჯიბრების მონაწილეები

- შეჯიბრებაზე დაიშვებიან 2009-2010, 2011-2012 და 2013-2014 წლებში დაბადებული გოგონები. სხვა წლებში დაბადებული ძიუდოისტები შეჯიბრებაზე არ დაიშვებიან.
- მონაწილეები ვალდებულნი არიან აწონვის დროს წარმოადგინონ საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი ორიგინალი საბუთი (პირადობის მოწმობა, ან პასპორტი).
- პირადმა მწვრთნელებმა არ უნდა დაუშვან ტურნირში ისეთი ძიუდოისტის მონაწილეობა, რომელსაც არ აქვს ვარჯიშის მინიმუმ ერთწლიანი გამოცდილება.

რეგისტრაცია:

- ძიუდოისტთა რეგისტრაცია შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ვებგვერდიდან (**http://gjf.ge/geo/calendar/georgia**) სპეციალური სარეგისტრაციო ფორმის შევსებით.
- შეჯიბრებაზე დაიშვებიან მხოლოდ ის ძიუდოისტები, რომელთა პირადი მწვრთნელებიც 2025 წლის 14 ოქტომბრამდე ელექტრონულად შეავსებენ სარეგისტრაციო ფორმას.
- რეგისტრაციის გარეშე ძიუდოისტები შეჯიბრებაზე არ დაიშვებიან.

IV. შეჯიბრების პირობები, კენჭისყრა, ადგილი, დრო, რეგისტრაცია

- შეჯიბრება ჩატარდება 19 ოქტომბერს თბილისში, ძიუდოს აკადემიაში, ბელიაშვილის 38.
- კენჭისყრა ჩატარდება 19 ოქტომბერს აწონვის შემდეგ.
  ჩამოსვლის დღე – 18 ოქტომბერი, წასვლის დღე – 20 ოქტომბერი.
- შეჯიბრების დასაწყისი – 10:00.

V. შეჯიბრების ჩატარების სისტემა და წონითი კატეორიები

- შეჯიბრება ჩატარდება ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით;
- წონითი კატეგორიები:
- 2009-2010 წლებში დაბადებულები: -44კგ; -48კგ; -52კგ; -57კგ; -63კგ; -70კგ; +70კგ;

შეხვედრების ხანგრძლივობა 4 წუთი.

- 2011-2012 წლებში დაბადებულები: -36კგ, -40კგ, -44კგ; -48კგ; -52კგ; -57კგ; -63კგ; -70კგ; +70კგ;

შეხვედრების ხანგრძლივობა 3 წუთი.

- 2013-2014 წლებში დაბადებულები: -32კგ, -36კგ, -40კგ, -44კგ; -48კგ; -52კგ; -57კგ; -63კგ; +63კგ;

შეხვედრების ხანგრძლივობა 2 წუთი.

აწონვა

თბილისი, ძიუდოს აკადემია, ბელიაშვილის 38.
18 ოქტომბერი - 17:00 - 18:00.
19 ოქტომბერი - 8:00 - 9:00.

- აწონვაზე დასაშვებია 500 გრამი ზედმეტი წონა. აწონვა მოხდება მოკლე შარვლითა და მაისურით.

შეჯიბრებაში ასპარეზობის პირობები

- მონაწილეებისთვის შეჯიბრებაში აუცილებელია თეთრი და ლურჯი ფერის კიმანოს ქონა. სავალდებულოა კიმანოს შიგნით თეთრი მაღალყელიანი მაისური.
- ტურნირში მონაწილეობის საფასური შეადგენს 25 ლარს

VI. შეჯიბრების ჩატარების ხარჯები

- სპორტსმენთა, მწვრთნელთა და წარმომადგენელთა სამივლინებო ხარჯებს (მგზავრობა, ღამისთევა, კვება) გაიღებენ მომავლინებელი ორგანიზაციები.
- შეჯიბრების ჩატარების ხარჯებს უზრუნველყოფს ორგანიზატორი მხარე.

საორგანიზაციო კომიტეტი:
ტელეფონი / ფაქსი: +9952516466;
გიორგი გვიჩიანი 599885683

P.S.

- სპორტსმენის, მწვრთნელის, წარმომადგენლის მიერ განხორციელებული დარღვევის შემთხვევაში ფედერაციის აღმასკომი იმსჯელებს დისციპლინარულ საკითხებზე.

ფედერაციის პრეზიდენტი ლევან ნოზაძე